საქართველო
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი
GEORGIA
Mayor of Kutaisi Municipality

N 01/28410
13/12/2016

28410-01-2-201612130917

სსიპ სოციალური მომსახურების
სააგენტოს დირექტორს
ბატონ ზაზა სოფრომაძეს

ბატონო ზაზა,

ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „ქ.ქუთაისში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახების ყოფითი პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობის“ პროგრამის შესაბამისად, სოციალურად დაუცველ ოჯახებს, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70 000-ს, დახმარება გაეწევათ მოხმარებული ელექტროენერგიისა და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის ღირებულების ანაზღაურების მხრივ.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, გთხოვთ, 2015 წლის 21 აპრილს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე, 2017 წლის იანვრიდან გაგრძელდეს ხელშეკრულება სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას შორის „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრირებულ ოჯახებზე არსებული გარკვეული ინფორმაციის ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიისათვის მიწოდების შესახებ.

პატივისცემით,

შოთა მურღულია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

3 Rustaveli ave. Kutaisi. 4600, Georgia
Tel/Fax (+995431) 245454; Fax: (+995431) 246962
www.Kutaisi.gov.ge; interrelations@Kutaisi.gov.ge

4600, საქართველო, ქუთაისი, რუსთაველის გამზ № 3
ტელე/ფაქსი: (0431) 245454; ფაქსი: (0431) 246962